

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თეიმურაზ ალექსაიას მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

#### ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ღანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ნიგოთისი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 20.10.2015 წელი 15.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ნიგოთისის მაჟორიტარი დეპუტატი თეიმურაზ ალექსაია, ნიგოთისის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი ვასილ აბუსერიძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაიაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლალი კიკაბიძე.

ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თეიმურაზ ალექსაია შეხვედა ნიგოთისის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას. მან აღნიშნა, რომ როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი, ყოველთვის კონსტრუქციულად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. დეპუტატი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს სხდომების მუშაობაში და მაქსიმალურად ცდილობს თემისთვის პრიორიტეტული პრობლემების დაყენებას, შეძლებისდაგვარად მხარს უჭერს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოწოდებულ კანონპროექტებს.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ განმარტა, რომ სოფლის პროგრამისა და ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ნიგოთისის ადმინისტრაციულ ერთეულისთვის გამოყოფილი იყო 860 000 ლარი. მან აღნიშნა, რომ 2014–2015 წლების სოფლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები: ნიგოთისის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო გარე განათება, მოხდა სანიაღვრე არხების გაწმენდა, შეკეთდა სოფ. ჩოლობარგის, სოფ. ნიგოთისის და სოფ. ჭყონაგორაში მდებარე სასაფლაოებთან მისასვლელი გზები, შეკეთდა რამდენიმე ხიდი, სოფ. ჩოლობარგში განხორციელდა საზოგადოებრივი ცენტრის შენობის რეაბილიტაცია, შეიღობა საყანე ფარაშიები, ჯიხეთის მონასტერზე განხორციელდა წყალსადენის ქსელის მოწყობა და შეძენილ იქნა მზის ბატარეები. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს– 2014 წელს სოფ. ქვიანში საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო სოფ. ჯაპანაში განხორციელდა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2015 წელს სოფ. ჭყონაგორაში შეკეთდა წყალმომარაგების სისტემა. 2016 წლისთვის დაგეგმილია სოფ. ჩოლობარგში საბავშვო

ბალის მშენებლობა , ხოლო 2017 წლისთვის დაგეგმილია სოფ. ნიგოთში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ მიმართა ადგილობრივ მოსახლეობას, რათა ერთად განიხილონ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემები.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ამირან ხუხუნიაშვილმა გულისტკივილი გამოთქვა, რომ წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა არასრულყოფილად. გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი და შესაბამისად დარჩა ხარვეზები. კერძოდ, საჭიროა 50 ტონიანი ავზის და 1 კმ სიგრძის მილის შექმნა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ 4 წელია რაც გარემონტდა ყოფილი კლუბის შენობა, რომელშიც გათვალისწინებულია სარიტუალო დარბაზის მოწყობა. ამირან ხუხუნიაშვილმა დეპუტატს თხოვა დახმარება დარბაზის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და იურიდიული საკითხების მოგვარებაში.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ომარ ხიტირმა აღნიშნა, რომ მედპუნქტი ემსახურება 4-5 სოფელს, მაგრამ შენობა არაა კვალი მოწყობილი და იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, ამასთან შესაძენია შესაბამისი სამედიცინო აპარატურა.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ განმარტა, რომ აღნიშნული შენობა არაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე. ამჟამად ეკონომიკის სამინისტროსთვის გაგზავნილია მოთხოვნა, რათა ის გადმოეცეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. პასუხი იქნება დაახლოებით 10 დღეში. აქედან გამომდინარე ეს პრობლემა სავარაუდოდ მოგვარდება ნოემბრის ბოლოსთვის.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ომარ ხიტირმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის შენობაც იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მურმან წილოსანმა გამოთქვა გულისტკივილი, რომ წყლის მაგისტრალის დაპროექტება მოხდა შეცდომით. კერძოდ ე.წ. „ჭილე“-ში ჩადებულია წვრილი მილები. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ეს შეაფერხებს წყლის მიწოდებას. ამასთან ე. წ. „ორპოტიკაში“ უნდა გაკეთდეს სათავე ნაგებობა და წყლის მაგისტრალს მიუერთდეს 2,5 კმ სიგრძის მილით. ამჟამად წყალი მიეწოდება ქუჩის ქვედა მხრის მოსახლეობას, ხოლო ქუჩის ზედა მხარეს წყალი ვერ ადის.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ განმარტა, რომ წყლის დებეტი ისეთი იყო, რომ ქუჩის ორივე მხარეს მიეწოდებოდა უპრობლემოდ, მაგრამ მოსახლეობამ მოშალა ე.წ. საკეტი და წყლის მიწოდება ხდება არათანაბრად. ეს პრობლემა მოგვარდება მხოლოდ წყლის მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა მურმან წილოსანმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით მოსახლეობას ექმნება პრობლემა შინაურ პირუტყვთან დაკავშირებით. კერძოდ, გზის მაგისტრალი საძოვარს ყოფს შუაზე და პირუტყვის დაცვა ძნელი ხდება.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ აღნიშნა, რომ ჭყონაგორაში გადის გაზის ცენტრალური მაგისტრალი, რომლითაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მიეწოდება გაზი. შესაძლებელია, რომ ამ მაგისტრალზე დამონტაჟდეს წნევის დამწვევი მოწყობილობა, რაც შესაძლებელს გახდის ნიგოითის თემი მომარაგდეს გაზით.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა დარეჯან მშვიდლობაძემ გამოთქვა გულისტკივილი, რომ რათა არ დააჯარიმონ, საკუთარ კარ-მიდამოში ვერ ჭრის აკაციის ხეებს და ვერ მიაქვს ე.წ. სახერხზე, რათა დაამზადოს საშენი მასალა.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვდა გურიის სატყეო სამსახურის ლანჩხუთის სატყეო უბნის უფროსს ნუგზარ ჩხაიძეს და საარაუდოდ ეს პრობლემა იქნება მოგვარებული. მომავალში შეიძლება ადგილზე გაკეთდეს სახერხი.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ლილი გურგენაძემ და დარეჯან მშვიდობაძემ გამოთქვეს გულისტკივილი, რომ უსახსრობის გამო ვერ არეგისტრირებენ საკარმიდამო ნაკვეთს და დეპუტატს თხოვენ დახმარება აღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ირინა ექსელიძემ გამოთქვა გულისტკივილი, რომ მისი სახლი იმყოფება მეწყერსაშიშ ზონაში. საკარმიდამო ნაკვეთის დიდი ნაწილი ძლიერაა დაზიანებული მეწყერის შედეგად. მან თხოვნით მიმართა დეპუტატს, რომ მოხდეს სათანადო რეაგირება აღნიშნული პრობლემის მიმართ.

დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე დააყენა შესაბამის სამსახურებთან და სავარაუდოდ ახლო მომავალში იქნება სათანადო რეაგირება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სოფლის პროგრამით და ინფრასტრუქტურული პროექტებით დაგეგმილი სამუშაოები შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელონ ადგილობრივმა მეწარმეებმა. ამასთან მაქსიმალურად უნდა დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა.

მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა მაჟორიტარ დეპუტატს ყურადღებისა და გვერდში დგომისთვის. დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ თავის მხრივ აღუთქვა ხალხს, რომ იქნება უფრო კონსტრუქციული და მომთხოვნი, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. ამასთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად შეეცდება სოფლის პრობლემების წარმოჩენას და მოგვარებას.

პატივისცემით,

ნიგოითის მაჟორიტარი დეპუტატი  თეიმურაზ ალექსაია